ეროვნული ბიბლიოთეკა
ტფილისი

№ 11
კვირა, 14 იანვარი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10—	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური
„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

№ 11
კვირა, 14 იანვარი, 1901 წ.
რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 18 იანვარს, 1901 წ.

ბენეფისი
ა. მ. კარგარეთლისა

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება

I

სამშობლო

ისტ. დრამა 5 მოქმედებად, დ. ერისთავისა

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, მდივანი, ბ-ნნი: სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ავალიანი, ურუშაძე, მირიანოვი, იმედაშვილი, იორდანოვი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყისი 8 საათზედ.**

რეჟისორი **ვ. გუნია**

მზადდება წარმოსადგენად „**იანიჩარი**“, „**მადამ-სანჟენი**“.

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე „**ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობა**“ აცნობებს თავისს წევრებს, რომ კვირას, იანვრის 21, დილის ათ საათზედ, ამხანაგობის დეპოში (მუხრანიანთ ქუჩა, სახლი ალხაზიშვილისა) დანიშნულია

საზოგადო კრება

კრება განიხილავს:

1) მიმდინარე 1901 წ. ხარჯთ-აღრიცხვას;
2) ამოირჩევს სამს წევრს სარევიზიო კომისიისას და მათ კანდიდატებს;
3) მოილაპარაკებს გაალოს თუ არა ამხანაგობის დეპოს განყოფილება ტფილისშივე.

დეპეშებისთვის ადრესი: „**Тифлисъ. Фармацевтика**“.
ტელეფონი № 741.

(2—11—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაგანახიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

სალამოობით:

ა. ნ. შვაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ზ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არშანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. ბეჟირგანოვი, შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ე. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

სალამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

სამკურნალო კაბინეტი

დოქტორის

ი. იაკ. გოკიელისა,

იღებს **ვენერიულ** (სიფილისი), **საშარდე, კანის და შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს.** წამლობა ნერვების სისუსტისა ელექტრონით.

ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—12 ს. და საღამოს 5—8 საათამდე.

მიხეილის და ნემეცთა ქუჩების კუთხე, № 81, სლივიცკის სახლი. შესავალი ნემეცთა ქუჩიდგანა აქვს.

(100—256—14)

საზოგადო კრება

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის

„შრომის“

დანიშნულია კვირას, 14 იანვარს, დილის 11 საათზედ, თავისს ქარხანაში.

განსახილველი საგნებია:

1) ანგარიშის განხილვა და დამტკიცება 1900 წლის მეორე ნახევრისა.
2) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრების ამორჩევა.
3) მოხსენება სარევიზიო კომისიისა და გამგეობისა. (3—6.—3)

მთავრობის განკარგულებანი

დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდგან თავისისავე თხოვნით შორაპნის მომრიგებელ სასამართლოს კანცელარიის მოხელე ანდრონიკე გრიგორის ძე კანდელაკი.

ახალი ამბავი

⁂ დღეს, 14 იანვარს, ტფილისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში გამართული იქმნება ბალი.

⁂ მოვაგონებთ ქართველს საზოგადოებას, რომ დღეს, 14 იანვარს, დილის 11 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში განზრახულ „ქართველ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების“ შესახებ მოსალაპარაკებლად კრებაა დანიშნული. იმედია, ქართველი საზოგადოება ამ ფრიად საყურადღებო საგნის გარდაწყვეტას ბლომად დაესწრება და ეცდება დროზედ როგორმე განახორციელოს იგი.

⁂ 11 იანვარს, ტფილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს განუხილავს გამგეობის დადგენილება

ფელეტონი

წკიპურტი

ჩვენებური „მე“ და „ჩვენ“.—გენერალი ბუქყიაშვილი და მისი მზარეული.—ქართულის თეატრის ახირებული რეცენზენტი.—რა საჭიროა ბენეფისები?—ბ ნ ალექსი-მესხიშვილის უცნაური „დასასრული“.—უშნო და ულაზათო „ცხვირი“.—სალამი ნინოებს.

ვგონებ არ გამიწყრები, მკითხველო, რომ კვირაში ერთხელ ჩვენის ცხოვრების წვრილმანებზედ მეც გამოგეხმაურო ხოლმე, მეც, შენი ძველი და დიდის ხნის მოძულებული მეგობარი. „წვრილმანებზეო!“ ტუჩის აბზეკვით იტყვი. რა გაეწყობა, განა ადამიანის ცხოვრება ერთი გრძელი ხვეულ გრეხილი არ არის წვრილმანებისა?! აბა გადაავლეთ თვალი ჩვენს ყოველ დღიურსა და კვირეულს ცხოვრებას, თუ, უბრალო თავ-მოყვარეობისა, ავთა ვნებათა ღელვისა, ჰორ-მითქმა-მოთქმისა და კერძოობაზედ აშენებულ ხულას მეტს, დაინახავ რასმე. სამწუხაროდ, ყველგან „მე“ გამეფებულა, „ჩვენ“-ის ნიღაბი აუფარებია, მისი ნაბადი წამოუსხამს, მისი ქალამნები ჩაუცვამს და ისე გამოსულა საქვეყნო ასპარეზზედ სათარეშოდ; გამოსულა, თავ-მომწონედ გაიძახის „ჩვენ“-ო და ამ სახელით ითლის და ირანდავს თავისკენ ქვეყნის სარგებლობისათვის გულ-შემატკივარის სახელსა, დიდებასა და ქონებას. აი, ჩემი წკიპურტიც სწორედ ამ ვაჟბატონებისათვის იქნება დამზადებული და ამ ახალ წლის განმავლობაში, გარწმუნებთ, ბევრს აუწითლებს ცხვირის წვერს.

მაშ დავიწყოთ .. მკითხველო, შენ, უეჭველია... მაგრამ უკაცრავად, ეხლავე ბოდიშს ვიხდი, რომ „შენ“-ობით გიხსენიებ. იმედია, ამისათვის საყელოში არ ჩამაფრინდები და მოსამართლის კარებზედ არ მიმაყენებ. სწორედ ასე დაჰმართა გენერალმა ალ. ბუქყიაშვილმა თავისს მზარეულს ვიღაც ივანე ლევანის ძეს ზაქარაშვილს. ბ-ნი ბუქყიაშვილი უჩიოდა ქ. ტფილისის მეორე მომრიგებელ მოსამართლესთან ზაქარაშვილს,—„ты“ მიწოდა და დასაჯეთო. აი, თუნდა, რაკი სიტყვამ მოიტანა, ეს ავილოთ სალაღობო-სართეველ-საბაასო მასალად.

მართლაც, შეიძლება მოსამსახურემ ბატონს და ან ერთმა ადამიანმა მეორეს „ты“-თ გაუსწოროს სიტყვა? „ты“ ჩვენებურად „შენ“ იქნება; თუმცა ჩვენი „შენ“ უფრო ნაზი, საამო მოსასმენია და, მასთან შედარებით, „ты“ უფრო ტლანქია და გაუთლელი, მაგრამ არსებითად ორივე ერთი და იგივეა. რაღა თქმა უნდაო, მეტყვი: რომ ზაქარაშვილს „ты“ არუნდა ეთქვა ბ-ნ ბუქყიაშვილისათვის, რადგან მიღებული არ არის წესად ჩვენს ურთიერთობაში, რომ უმცროსმა უფროსს, მოსამსახურემ ბატონს, უცნობმა უცნობს „შენ“ შეჰკადროს, უზრდელობად ჩამოართმევენო. იტყვი და მეც დაგეთანხმები, თუმცა მოსამართლემ ზაქარაშვილი გაამართლა და კანონიერად მოიქცა. გაამართლა ალბად იმიტომ, რომ „შენ“-ის თქმა უზრდელობაა და არა დანაშაული, რომლისთვისაც კანონი სასჯელს აღნიშნავს. ბ ნ ბუქყიაშვილის შეცდომაც სწორედ ის არის, რომ ეგონა, ჩემის მზარეულის შეუსაბამო და უზრდელს საქციელს კანონი დასჯისო, და აი, ამ მგონიაობის გამო გაუჩინა მისი არა-შესაფერისი საქმე სასამართლოს და გაზეთებსაც მასალა მისცა.

* *

ყოველი ამისთანა წვრილმანი: უზრდელობა, უგერგილობა, ენისდაუჭერლობა, აბდა-უბდობა რომ ისჯებოდეს კანონით, ჩვენნი მოსამართლენი საქმეთა სიმრავლეს ხომ თავისს დღეში ვერ გასწვდებოდნენ, თუმცა არც ეხლა სწვდებიან, მართალი რომ სთქვას კაცმა. ყოველი ასეთი უხამსი საქციელი რომ დაისჯებოდეს, სამართალში მე ყოველთ უწინარეს „ცნობის ფურცლის“ უცნაურს რეზენზენტს მივცემდი. ამ ვაჟბატონმა ერთს თავისს რეცენზიაში („ცნ. ფურც.“, 6 იანვრისა) „უსაყვედურა ქართველ საზოგადოებას“, რომ:

> „ნიჭიერსა და ქართულ სცენის მოღვაწეს ქ-ნ ეფ. მესხისას არც ერთი საჩუქარი არ მისვლია მის ბენეფისზე, მაშინ როდესაც ნაკლებ ნიჭიერებს და ნაკლებ დამსახურებულს ცოტა რამ მაინც მისდის ხოლმე“-ო.

დიაღ, მართლა რომ ღირსი იქნებოდა ეს უცნაური ბატონი სამართალში მიცემისა. მოსამართლე, დარწმუნებულნი ვართ, სულ-გრძელებას გამოიჩენდა, დაარიგებდა და აუხსნიდა ამ „რეცენზენტს“, რომ:

1, ქართული ენა შეისწავლოს, თუ მოწადინებულია მაინც-და-მაინც ქართულად წერას, რადგანაც, მართლაც, ეს „მისვლია“ და „მისდის“ და საზოგადოდ მთელის ამ წინადადების ქართული ვერაფერი ნიმუშია ენის მშვენიერებისა.

2, იცოდეს, რომ იგი დამფასებელია მსახიობთა ხელოვნებისა და ამ ხელოვნებასთან შეკავშირებულ სცენის ავ-კარგიანობისა და არა იმასი, თუ ვინ ვის რას მიართმევს.

3, შეიგნოს, რომ საჩუქრებს აძლევს და სძლვნის მსახიობთ არა „ქართველი საზოგადოება“, რომელსაც ასე უმიზეზოდ უსაყვედურა თა-

ხმოსანთა არჩევანებისათვის ქალაქის სამ ნაწილად დაყოფის შესახებ. საკრებულოს მოუთხოვნია დამატებითი ცნობები და გამგეობის დადგენილების საბოლოოდ განხილვა შემდეგ სხდომისათვის გადაუდვია.

⁂ ტფილისის მაზრის უფროსს წარუდგენია ტფილისის გუბერნატორისათვის იმათი სია, რომელთაც „ღრმა ღელეში“ სააგარაკო მიწები შეუძენიათ. რადგანაც შუამავლობა იქმნა აღძრული „ღრმა-ღელის“ „პოსადად“ გადაკეთების შესახებ, მაზრის უფროსმა წარუდგინა აგრეთვე შემდეგი ცნობები: 1) ამ ჟამად „ღრმა-ღელეში“ მხოლოდ 5—6 სააგარაკო შენობაა; 2) ეს ადგილი არ ივარგებს მეურნეობისათვის; 3) მიწის მყიდველები უმეტესად ტფილისის მოხელენი და მოქალაქენი არიან; 4) ვაჭრობა-მრეწველობის წარმატება არ ეტყობა ამ ადგილს,—მხოლოდ ორი დუქანია ჯერ-ჯერობით; 5) იმ 160 კაცმა, რომელნიც სიაში არიან მოხსენებულნი, შეიძინეს სულ 90 დესეტინა და 2010 ოთხ კუთხ საჟ., თითო საჟენი 40—50 კაპ. დღეს „ღრმა-ღელეს“ საქონლის საძოვარ ადგილად ხმარობენ და შემოსავალი მეტად მცირე აქვს.

⁂ 11 იანვარს ინჟენერს სიგვარტს, „ჰელიოსის“ საზოგადოების მონდობილობით, წარუდგენია ქალაქის მოურავისთვის პროექტი ქალაქის ელექტრონით განათებისა. როგორც ამ პროექტიდგანა სჩანს, ქალაქის ელექტრონით განათებას სულ 430,690 მან. მოუნდება. ეს ფული ასეა გაყოფილი: საამშენებლო ნაწილს—41,740 მან., სამექანიკოს—121,000 მან., საელექტრონოს—75,000 მან., საელექტრონო მავთულებისას—161,200 მან. და სახლების განათებას—31,700 მან. პროექტი გარდაეცა ინჟენერს ენფიანჯიანცს, რომელმაც სხვა სპეციალისტებთან ერთად უნდა განიხილოს იგი.

⁂ მიწად-მოქმედების სამინისტროს იტალიიდგან გამოუწერია 10 კილოგრამმა (2400 მისხლამდის) ცელულიარული აბრეშუმის თესლი. ამას გარდა ხარკოვის სამიწად-მოქმედო სასწავლებელს დაუმზადებია—1200 მისხალი თესლი. ეს თესლი მსურველთ ნახევარ მისხლამდე უფასოდ მიეცემათ. ამაზედ მეტი-კი მისხალი 50 კაპეიკად გაიყიდება.

⁂ დღეს, კვირას, მადათოვის კუნძულზედ, დურგალთა ამხანაგობის „შრომის“ სადგომში, დანიშნულია ამ ამხანაგობის წევრთა კრება.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ინჟენერი ვედენეევი დღეს პეტერბურგს მიდის სამსახურის საქმეებისა გამო.

⁂ „ახ. მიმს“-ს პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ: „გამოქვეყნებულ იქმნა მთავრობის ბრძანება, რომლითაც კერძო კაცებს გუდაუთის ტყეში სამთო მრეწველობა აღეკრძალათ“.

⁂ 9 იანვარს, ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის პედაგოგიურს რჩევას სახალხო სკოლების დირექტორის პავლოვის თავმჯდომარეობით ადგილობრივ ენათა განყოფილების მოსწავლენი შესაფერ კლასებში გაუნაწილებია. ორშაბ თიდგან ამ სასწავლებელში სწავლა მხოლოდ რუსულს ენაზედ იქმნება.

⁂ შაბათს, 13 იანვარს, ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის პირველმა დეპარტამენტმა განიხილა, სხვათა შორის, საქმე ქუთაისის გუბერნიის, ოზურგეთის მაზრის სოფელ ციხის მცხოვრების გლეხს სამსონ გურგენიძისა, რომელსაც ჰბრალდებოდა, რომ მან 1900 წელს, იანვარში, სიმთვრალის დროს შემთხვევით ხანჯლით დასჭრა თავისი მეზობელი გიორგი რამიშვილი, რომელიც ამ ჭრილობისაგან გარდაიცვალა. პირველად ეს საქმე განუხილავს ქუთაისის ოლქის სასამართლოს, რომელსაც დამნაშავედ უცვნია გურგენიძე რამიშვილის გულმოსულობის დროს მოკვლის საქმეში და გარდაუწყვეტია ზოგიერთ უფლებათა და უპირატესობათა ჩამორთმევა და ციმბირის არა შორეულს ადგილებში გარდასახლება. ტფილისის სამოსამართლო პალტამ დაადგინა, რომ გურგენიძე დამნაშავედ იქმნეს ცნობილი, ჩამოერთვას ზოგიერთი პირადად თუ მდგომარეობით მოპოვებული უფლება-უპირატესობანი და სამის წლის ვადით პატიმართა გამასწორებელს რაზმში გაიგზავნოს.

⁂ განზრახვა აქვთ კავკასიის ოლქის მზრუნველის კანცელარიაში დააწესონ ახალი თანამდებობა ხუროთ მოძღვრისა.

⁂ კავკასიის ოლქის სამხედრო სასამართლოს დამნაშავედ უცვნია შტაბს-კაპიტანი კონიაშვილი, რომელიც ამას წინად სამართალში იქმნა მიცემული ბაშკადიკლარის ბატალიონის უფროსის შეურაცხყოფისა გამო, და დაუდგენია სამსახურიდგან გამორიცხოს ჩინის ჩამოურთმევლად.

⁂ როგორც გაზ. „კავკაზს“ პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, შეცვლილ იქმნა ტფილისის საკრედიტო საზოგადოების წესდება: ჩართულ იქმნა პარაგრაფი იმის შესახებ, რომ უკვე დაგირავებულ მამულში ახალ შენობის გირაოზედ დამატებითი სესხი იქმნას ხოლმე გაცემული.

⁂ ქურთათის ხეობა (კავკავის მაზრა). წარსულს დეკემბერში ამ ხეობაში ორი ტყის მცველი მოჰკლეს. საქმე აი როგორ იყო: ჯერ ერთი ყარაული თურმე გამოვიდა დილით ოთხის ძაღლითა და ბერდანის თოფით და შინ საღამოზედ მარტო სამი ძაღლი დაბრუნდა, ხოლო ერთი ძაღლი და კაცი კი არსად ჩანდა. მეორე დღეს ბევრი ეძებეს, მაგრამ ტყის მცველი ვერსად იპოვნეს. მესამე დღეს ტყეში ძაღლის ყმუილი მოესმათ. ყმუილზედ მივიდნენ და მოკლული ტყის მცველი ნახეს, რომელსაც გადალასლასებული ძაღლი გვერდით უწვა. საბრალოს მოკლულს შუბლში ჰქონდა ცული დაკრული და გაჩეხილი; იქვე ეყარა ტანისამოსის ნაფხრეწები. ალბად საბრალო ძაღლებს ებრძოლათ მკვლელთან. ერთის კვირის შემდეგ ახლა მეორე ტყის ყარაული მოჰკლეს. ამას უკანიდგანა ჰქონდა კისერში ცული დაკრული, ასე რომ კისერი ცოტაზედ-და ება. მერმე მკვლელს ორივე მკლავი დაეჭრა, მკვდარი მიეწვინა, ხელები თავქვეშ დაეწყო, ბერდანის თოფიც გვერდით დაედო და იქვე პატარა დაწერილი ბარათი დაეტოვებინა შემდეგის შინაარსისა: „ეს ორი მოვკალ და ოცამდის ავიყვანო“. ბარათი მოკლულს ედო ზედ.

⁂ წარსულს კვირაში ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ ავჭალის ქუჩაზედ ტფილისის ვაჭრის არშაკუნის მაღაზია გასტეხეს, საიდგანაც სხვა-და-სხვა სავაჭრო გაიტანეს. პოლიცია მაშინვე გამოძიებას შეუდგა და ამ დღეებში კიდევაც აღმოაჩინა ქურდები: გიორგი მეძლიშვილი, გიორგი ბაკურაძე, ისაია ნადარეიშვილი, სტეფანე სიხარულიძე, გიორგი ბეროძე, ივანე კროტი და არტემ უთაროვი. ქურდებს მოპარული საქონელი ტფილისის მცხოვრების ალექსანდრე ზაზიევისთვის გარდაუციათ, რომელსაც ვაჭრის ყარაჯევისათვის მიუყიდნია. დამნაშავენი პოლიციამ უკვე დააპატიმრა. გამოძიება სწარმოებს.

⁂ ხუთშაბათს, 11 იანვარს, პოლიციის მე-5 ნაწილში, ბებუთოვის ქუჩაზედ ტერშმოვანოვის სახლში მცხოვრებ ვაჭარ მათიაშვილისათვის რაჭის მაზრის მცხოვრებს გლეხს გიორგი მეტრეველს 128 მან. ღირებული სხვა-და-სხვა ნივთი მოუპარავს. დამნაშავე უკვე დააპატიმრეს. მეტრეველი წინადაც ყოფილა ამისთანა ქურდობაში შემჩნეული და ციხეშიაც მჯდარა.

წერილი ოჩამჩირიდგან.

სწორედ რომ უკუღმართ ვარსკვლავზედ ვართ დაბადებულნი ჩვენ, სამურზაყანოელნი და აფხაზნი (აღმოსავლეთი აფხაზეთი)! არ იქმნა, ვეღარ ვეღირსენით ცოტა-ხნობით მაინც მშვიდობიან და მყუდრო ცხოვრებასა: დღემუდამ შფოთი და ვაი-ვაგლახი, კაცის კვლა, ქურდობა-ავაზაკობა. როგორც წინედაც გწერდით, აბჟუაში ეხლა—დროებით, რასაკვირველია, თორემ ჩვენ სრულს მშვიდობას ვინ გვაღირსებს—შედარებით მკვიდრმა ცოტა მოისვენა, თავისუფლად ამოისუნთქა. ხოლო ბედშავ სამურზაყანოში-კი ისევ ისე ძარცვა-გლეჯაა: არ იცი, როდის ან რისთვის სრულიად უდანაშაულოდ მოგეღება ბოლო,—ჩამავალის თუ ამომავალის მზის სხივები შეიღებება შენი უმანკო სისხლით. ან იცოდე მაინც, რისთვის ესალმები ასე უდროო დროს შენთვის საყვარელ წუთი-სოფელს.

თითქმის არასოდეს გასულ საუკუნეში აქ ამდენი ავაზაკობა და ავაზაკები არა ყოფილა, ყაჩაღთა გვარების ჩამოთვლაც გაუჭირდება კაცს. „ე დალოცვილმა სიბირის რკინის გზამაო, მითხრა ჩემმა თანამოსაუბრემ, ძალიან ცუდი საქმე გვიყოო: ამ კაცთ გაუბედავთ ჩრდილოეთის ყინულისათვის თავი დაეღწიათ და სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ ისევ სათარეშოდ და ქვრივ-ობოლთ საწიოკებლადო“. მიზეზებისა რა მოგახსენოთ, მხოლოდ ეს-კი ნამდვილია, რომ ვინც ოდესმე სამურზაყანოდგან კატორგაში გაგზავნილიყო, ან ციმბირში სამუდამოდ გადასახლებულიყო, ყველა უკან უვნებლივ დაბრუნდა და ისევ თავისს ძველს ხელობას მიჰმართა. ეხლანდელ სამურზაყანოელ ყაჩაღთაგან თავისი „საგმირო საქმეებით“ განთქმულნი არიან: ძმანი კოსტა და ნიკო მარღანიები, ბ. მარღანია, თ. ემუხვარი და გიო ქობალია. გასულ დეკემბრის პირველ რიცხვებში საერობო დარაჯისაგან მოკლულ იქმნენ ბ. მარღანია და გიო ქობალია. იმათთან ბრძოლის დროს მოკლულ იქმნენ ურიადნიკი თ. სამსონ ჩქოტუა და ერთი რუსი დარაჯი. ძმანი მარღანიები და თ. ემუხვარი თავისი წვრილ-ფეხა თანამოძმეებით დათარეშობენ სამურზაყანოში დაუსჯელად და ნებივრად და შიშის ზარს სცემენ საწყალ უდანაშაულო მკვიდრთ.

შობის წინა დღეებში სამურზაყანოში მოვიდა სოხუმის ოლქის უფროსი და მოსთხოვა მცხოვრებთ, ყაჩაღები დაიჭირონ და პოლიციას მისცენ...

13 დეკემბერს კიდევ ერთი საზიზღარი მკვლელობა მოხდა დაბა ოჩამჩირეს ახლო, სოფელ ცხენის წყალში: დილის ცხრა საათზედ შარაგზაზედ სრულიად უდანაშაულოდ მოკლულ იქმნა ან. ჩაჩავა, რომელსაც ის იყო წინა დამით მიეღო დეპეშა—პორტში გიგზავნიან,—და შინ მიეშურებოდა. ამბობენ, სარწმუნოდ ამ მკვლელობას ის ჰქონდაო, რომ საწყალ ჩაჩავას ნათესავს ბ. აფხაზის ქალისათვის სიტყვა მიეცეს—ცოლად შეგირთავო და აღარ ასრულებინოს. აი, ამ ქალის ჭირისუფალმა სისხლი ან. ჩაჩავაზედ აიღო, რადგანაც ბ. სადაც გაქცეულა .. ჩაჩავა წვრილის შვილების პატრონი იყო.

ჰამუთ-ბეი

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

(ცისარტყელა! კომედია ა. ცაგარლისა, „მოამბე“, 1900 წ., № 10, 11.)

(დასასრული *)

ზემოდ ჩვენ ბ-ნ ცაგარლის ახალ კომედიის შინაარსი აღვნიშნეთ, მაგრამ არა გვგონია იქ ერთი ბეწო ისეთი რამ მოიძებნებოდეს, რაც ღირსი იყოს კომედიის გაშინაარსებისა. კომედიის

---

*) იხ. „ივერია“ № 9.

ვისს სამოქმედო წრეს უზომოდ გადაცილებულმა „ცნობის ფურცლის“ ვაჟბატონმა,—არამედ ერთი, ანუ რამდენიმე წევრი და გინა რომელიმე ჯგუფი თეატრში მოსიარულე ხალხისა, რომლის საჩუქარი და ძღვენი მსახიობის ხელოვნების დამფასებლად არ ჩაითვლება და რომელიც ხშირად თავისის საკუთარის გრძნობით ჰხელმძღვანელობს და არა იმ ადლ-სასწორით, თუ ვინ უფრო ნიჭიერიაო, და სხვანი. მუხლობრივად არდა ჩამოვთვლით, მაგრამ, აშკარაა, სამართალში მიცემის შემდეგ ეს რეცენზენტი შეიგნებდა, რომ საზოგადოდ ბენეფისი და კერძოდ ძღვენ-საჩუქრების მიტანა დიდად უხამსი ჩვეულებაა, რომელიც კალმის კაცმა, როგორც ჩვენში ეძახიან მეგაზეთეებს, უნდა დაჰგმოს და არა, პირიქით, გააძრახოს საზოგადოება, რომ ამისა და ან იმისთვის უნდა მიგეძღვნა რამეო.

მართლაც, ვისთვის და რისთვის არის ეს, ევროპაში დიდი ხანია გაუქმებული და ჩვენში უხამსად დაკანონებული, დაუსრულებელი ბენეფისები?!. ნუ-თუ დრო არ არის იგი სრულიად მოსპოს ჩვენმა დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ?!. მესმის მნიშვნელობა იუბილეიებისა და საზოგადოდ ოც და-ხუთისა და სხვა ხანგრძლივ დროს წლის-თავებისა, როდესაც ამა თუ იმ ასპარეზზედ მომქმედის შრომა ღვაწლს პატივსა სცემენ, ხოლო ბენეფისები თითო ყოველ სეზონში და ზოგისა—ხუთს თვეში (სეზონი მეტს ხანს არც გასტანს ხოლმე) ორჯელაც-კი რა საჭიროა? თუ ეს პატივისცემაა, ამდენი პატივისცემა ვის გაუგონია? მაშ რი მნიშვნელობა აქვს და რა სარგებლობა მოაქვს, ვნების მეტი? ვნება მისი-კი აშკარაა, რადგან ამ უხამსმა ჩვეულებამ თეატრში მოსიარულე საზოგადოებას ის ცუდი თვისება შესძინა, რომ იგი ბენეფისებს უფრო ესწრება, თითქოს ამ დღეს უფრო საგანგებო წარმოდგენა რამ იყოსო.

რაც შეეხება საჩუქრებსა და ძღვნებს, ბ-ნს „რეცენზენტს“ რომ დაეხედნა როდისმე თვით იმ საჩუქრებისათვის, რომელსაც ჩვენის სცენის მსახიობთ მიართმევენ ხოლმე და რომელთა უმეტესობას წარწერილი აქვს, ვისგანაც არის იგი მიძღვნილი, ადვილად დარწმუნდებოდა, რომ აქ „ქართველი საზოგადოება“ არაფერს შუაშია, რადგან საჩუქარს აძლევს „საზოგადოება“-კი არა, პეტრე, ივანე, გიგო და მსგავსნი ცალკ-ცალკე, ან რამდენიმე მათგანი ერთად და ასეთი საჩუქარი-კი ნიჭისა და ღირსების დაფასებად არ ჩაითვლება და არც მისნი მიმძღვნელნი—ნიჭის მსაჯულებად. აქ „კაცია და გუნებაო“—ჰმოქმედობს და ამიტომ დიდი შეცდომაა, ამას, თუ იმას, ან ორივეს ერთად უთხრა: ამ მსახიობს რად მიუტანე საჩუქარი და არა იმ მსახიობსაო. მაშინ, იმედია, ბ-ნი „რეცენზენტი“ ულაგოდ არ წამოისროდა თავისს სიტყვას და ამაოდ არ მოიხსენიებდა სახელს პატივცემულ ქ-ნ ეფემია მესხისას, რომელსაც კრილოვის დათვისებური სამსახური გაუწია. მაგ გზით რომ იაროს „რეცენზენტმა“, ჩქარა იმასაც ეღირსებით, რომ ამასა თუ იმ კაცს უკიჟინებს: ეგ მსახიობი ქალი რად შეირთე ცოლად, როდესაც მეორე, მაგაზედ ნიჭიერი, ჯერ გაუთხოვარია და უფრო ღირსია გათხოვებისაო. ვიმეორებთ, ხშირად ცოლი ქმარს მიართმევს ხოლმე ბენეფისში საჩუქარს, ქმარს-მსახიობს, რასაკვირველია, ან ნათესავი—ნათესავს და მეგობარი—მეგობარს, და აბა აქ „ქართველი საზოგადოება“ რა შუაშია?!.

* *

რაკი თეატრისა და მსახიობთა შესახებ გაგვიგრძელდა ბაასი, უნდა მოგახსენოთ, რომ შესაძლებელი რომ იყოს, სამართალშივე მივცემდი ჩვენს მსახიობს ბ-ნს ალექსი-მესხიშვილს. იმავე „ცნ. ფურც.“-ის საახალწლო ნომერში დასტამბული იყო ვითომდა „ოხუჯობა“ ვიღაც ბზიკისა, რომელიც გაკვრით ამბობდა, რომ ბ-ნს ალექსი-მესხიშვილს ტფილისი ჰკვებავსო, ხშირად იწვევენ ბენეფისებში და შემოსავლის უმეტესი ნაწილი იმას მიაქვსო. 10 იანვრის №-ში ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი „ბზიკის“ უსაფუძვლო ნაბზიკვარს საფუძვლიანს პასუხს აძლევს და ბოლოს დასძენს:

„დასასრულ, გავახარებ ზოგიერთს, რომელთაც მესხიშვილის ბენეფისის მოახლოვება ტფილისში ძვალად აქვს ყელში გაჩრილი და მოსვენებას არ აძლევთ, რომ მესხიშვილი აღარ შეაწუხებთ ტფილისში ჩასვლით: მოისვენეთ, სულით და გულით ავათმყოფნო, მოისვენეთ!“

სწორედ რომ გაგვაოცა ამ უცნაურმა „დასასრულმა“!.. ვთქვათ „ბზიკი“ სტყუის, უმართლოდ „ოხუჯობს“; ვთქვათ, „ზოგიერთს (?) მესხიშვილის ბენეფისის მოახლოვება ძვალად აქვს ყელში გაჩრილი“; ვთქვათ, ტფილისში „სულით და გულით ავათმყოფნიც“ არიან, ეს „მესხიშვილი აღარ შეაწუხებთ ტფილისში ჩასვლით“-ო რაღაა?!. განა ბ-ნი მესხიშვილი „სულითა და გულით ავადმყოფთათვის“ ჩამოდიოდა ტფილისში?!. ვერაფერი ქათინაურია მის თაყვანის-მცემელთა მიმართ. მაშ ვის უფრთხის, „ზოგიერთებს“ მისი მტრობაც რომ ჰქონდეთ (თუმცა ესეც ჩვენ მოლანდებულად მიგვაჩნია), განა ამიტომ ბ-ნმა მესხიშვილმა ქვა უნდა შეაგდოს და ზურგი შეაქციოს ტფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი უნდა გვისურათებდეს ისეთს მდგომარეობას, რომელშიაც წარმოსადგენი არსება თავისს ხასიათს, ან ზნე-ჩვეულებას იქამდე მიჰყავს, რომ ეცადოს გარეგნობით შაერთოს შეუერთებელი და გააცალკევოს გაუცალკევებელი. ბ ნს ცაგარელს სწორედ იმით მოჰყავს თავისი წინანდელი კომედიების მაყურებელი აღტაცებაში, რომ იქ ამისი ნიჭი მართლა გარეგნობით აერთიანებინებს მომქმედთ იმას, რაც შეუერთებელი ვერ იქნება, ან აცალკევებინებს იმას, რის გაცალკევებაც მოუხერხებელია.

რა არის საკომედიო იმ ამბავში, რომ მალხაზი უკანონო შვილია? რა არის სამასხარო, რომ ელიკო ნიკოს უარს ჰყოფს და მალხაზს აძლევს სიტყვას იმის დასამშვიდებლად? რა არის კომიკური იქ, რომ ჯვარის საწერად გამზადებულ ელიკოს და მალხაზს მოულოდნელად შეატყობინებენ, თქვენ დაძმანი ხართო? გადაჭრით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ აქ არაფერი საკომედიო არ მოიპოვება ეს შინაარსი საკუთრივ დრამისათვის უფრო გამოდგებოდა, ვიდრე კომედიისათვის. იქნება ბ-ნ ცაგარელს შეცდომა მოუვიდა, იქნება „ცისარტყელა“ მართლა დრამაა და მხოლოდ შეცდომით მოინათლა ის კომედიად? არც ეს არის მართალი. მალხაზის დრამა სწორედ იმით იწყება, როთაც „ცისარტყელა“ ბოლოვდება. ან იქნება მალხაზის დრამა თავისის უკანონობის შეტყობით იწყებოდეს? ესეც შეუძლებელია; ისეთი გამოცდილი და ნიჭიერი მწერალი, როგორიც ბ-ნი ცაგარელია, არ იკისრებს, რომ ამ სუსტს, გარეგან გარემოებაში გამონასკვოს მალხაზის დრამა. მაშ რა არის „ცისარტყელა“! რას წარმოადგენს ის? თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე-კი ვერ გამომირკვევია იმისი რაობა.

გარდა იმისა, რომ „ცისარტყელა“ არ წარმოადგენს კომიკურ მდგომარეობის განვითარებას, ბ-ნ ცაგარელის ახალი პიესა სუსტია აგრეთვე პსიხოლოგიის მხრივ. მალხაზი გამსჭვალულია ისეთის აზრებით, რომლებიც მხოლოდ ქვეყნის ბედნიერებას ათაყვანებენ და სასტიკად უარს ჰყოფენ ყველა იმას, რაც თავმომწონეობს კეთილშობილურის შთამომავლობით, კულტურის გარეგნად შეთვისებით და მრავალის სხვა ყალბის ღირსებით. მალხაზს გადაწყვეტილი აქვს, მთელი თავისი დიდ ძალი ქონება ქვეყნის საკეთილოდ დახარჯოს და მთელის თავისის არსებით ებრძოლოს ქვეყნის გამანადგურებელს წურბელებს. ხშირად უძრახავს ქართველ თავად-აზნაურობას ფუჭს ცხოვრებას და უშიშრად ადიარებს ეგრედ წოდებულს ქართულს არისტოკრატიას ერის მოღალატედ და ხორცმეტად. აი, ასეთის აზრებისა და ასეთის მტკიცე, უშიშარის ხასიათისაა მალხაზი, მაგრამ თავისის უკანონობის შეტყობა იმას მაინც იმდენს შავის ნისლებით მოცულს ფიქრსა ჰგვრის, რომ მუხლ-მოდრეკილი ევედრება ელიკოს, ცოლად წამომყე, თორემ ჩემს არარაობას სხვა მალამო არა აქვსო. რატომ? შესაძლებელია მალხაზს არ იამოს, გული ეტკინოს იმ გარემოების შეტყობით, რომ დედ-მამად მიჩნეული და მშობლებად შეყვარებული სვიმონ და სოფიო იმისი ნამდვილი მშობლები არა ყოფილან, მაგრამ ამან რომ ფართო იდეალებით სავსე მალხაზი უეცრად დააკრდომოს, არარაობად ჩაათვლევინოს თავისი თავი — ეს ძნელად წარმოსადგენია.

დაუჯერებელი და ძნელი გასაგებარია აგრეთვე ელიკოს საქციელი. მისის ნიკოსთან საუბარის აზრი აშკარად გვიმტკიცებს, რომ ელიკოს ნიკო უყვარს, მაგრამ მაინც მალხაზს მისდევს და ნიკოს იმედებს კი უცრუებს. მერე რად, რა მოსაზრებით? ელიკო ხომ თავისუფლების მოყვარულია, ელიკოს ხომ ნიკო მოსწონს და არა მალხაზი, უამისოდ მალხაზს ცხოვრების ნუგეში არ ექმნებაო, — გვიხსნის ელიკო... დაუჯერებელი თავ-განწირულებაა, სისულელე რომ არ იყოს... გარდა ამისა რა აზრში გასატარებელია, რომ განათლებული, მდიდარი, რეალურ ნიადაგზედ აღმოცენებულ იდეალების პატრონი მალხაზი უელიკოოდ უნუგეშო იქმნებოდა და მხნეს, მაგრამ ჯიბე გამოფიტულს აგრონომს, ნიკოს-კი არა დაუშავდებოდარა. ელიკო ჭკვიანი, თავისუფალის აზრების ქალია, იმას ნიკო ჩვენის ცხოვრების ცისარტყელას უწოდებს, და ამნაირი ფიქრით, ამგვარ ყალბ მოსაზრებით არ უნდა შეელახა მას თავისი ცისარტყელობა.

სიყალბის ელფერი ეტყობა ნიკოს პიროვნებასაც. ნიკო დიდის მხნეობის კაცია, თავისს ფართო მისწრაფებათ მხოლოდ სინამდვილეზედ ამყარებს და მუყაითად ჰშრომობს სამშობლო ქვეყანაში მეურნეობის წესიერად აღორძინებისათვის, ამისდა მიუხედავად, იმისი პრაქტიკული მოსაზრება მეურნეობას ვერ გადასცილებია; ნიკომ იცის, რომ მალხაზი მისი ძლიერი მეტოქეა, იცის, რომ შესაძლოა, ელიკო აიძულონ სიტყვას უღალატოს, იცის, რომ დღე დღეზედ ან სამუდამოდ უნდა გამონათდეს და ან სამუდამოდ უნდა ჩაჰქრეს მისის სიყვარულის ვარსკვლავი, და მაინც თავს ანებებს იმ მიდამოებს, სადაც ელიკო სცხოვრობს, სწორედ იმ დროს, როდესაც იმისი ბედი უნდა გადასწყდეს, რადაც ფერმების დასათვალიერებლად მიდის. უფრო უცნაურად გვეჩვენება ჩვენ მეგობრობის აღთქმა, რომელსაც ნიკო აძლევს ელიკოს. ნიკოს სატრფიალო საგანი ელიკო იყო, ელიკომ უღალატა და ნიკო კი გაიძახის, სამუდამოდ შენი ერთგული მეგობარი ვიქმნებიო. აქ მეგობრობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს; პირიქით ნიკო უნდა გაბოროტებულიყო. ან იქნება ნიკოც ელიკოსებური ცხოვრების ყალბი ცისარტყელაა?! იქნება ნიკოს ნათელს აგრონომიულს გულში სრულიად არა აქვს ადგილი ბოროტს გრძნობებს? უეჭველია, ბ-ნ ცაგარლის აზრით, ნიკო განხორციელებული სიკეთე და გონიერებაა, მაგრამ ვეჭვობთ, რომ ამგვარი ვიწრო გონიერება და გაცალმხრავებული სულგრძელობა, მეორე ან მესამე საუკუნეების ბერების გარდა, კიდევ ჰქონოდეს ვისმე.

ბ ნ ცაგარელს ამ კომედიით სრულიად შეუფერებელი საგანი ამოუღია მიზნში. ავტორს ჰსურს დაგვისურათოს ჩვენის ცხოვრების ის მხარე, რომელსაც ის ნიკოს პირით ცისარტყელას უწოდებს. დრამისთვისაც და კომედიისთვისაც დაუშრობელს მასალას იძლევა ეგრედ წოდებულ ძველისა და ახალის თაობის დაპირისპირება. ძველისა და ახალის აზრების ურთ-ერთთან ბრძოლა ჭეშმარიტის პოეტისათვის მშვენიერი ასპარეზია ნიჭის გამოსაჩენად. ეს ბრძოლა სავსეა როგორც დრამატიულის სცენებით, ისე კომიკურ მდგომარეობით, მაგრამ ის მწერალი, რომელიც ცხოვრების ამ მხარეს ჰხდის თავისს ნაწარმოების შინაარსად, ღრმად ჩაკვირვებული უნდა იყოს თვით ამ ბრძოლის ტალღებში, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ან მხოლოდ ძველი ცხოვრების სურათებს მოგვცემს, ან უადგილო რეზონიორობას დაიწყებს. „ცისარტყელაში“ ბ-ნ ცაგარელს აზრად აუღია ჩვენის ახალგაზდობის მიმართულების დასურათება, მაგრამ ამ მიმართულების გვერდში ამოყენებული არ არის ძველის თაობის აზროვნება და ამიტომ „ცისარტყელა“ არც კომედიას წარმოადგენს, არც დრამას. ხელმეორედ მაგონდება ბ-ნ ლეისტის სიტყვები, ქართული ცხოვრება ფართო მასალას იძლევა სატირისთვისაო. დიახ, ჩვენი ცხოვრება საოცარის სისწრაფით მიდის წინ და სავსეა ძველისა და ახალის აზრების შებრძოლების ჭრელ, საკომედიო სურათებით, და აი სწორედ იმიტომ გვაკლია გულს, რომ ბ ნ ცაგარელს სრულიად არ მიუქცევია ყურადღება ამ გარემოებისათვის. თითქოს ახალის გზით მოსიარულეთათვის ცხოვრება ვარდით იყოს მოფენილი, არც ერთს „ცისარტყელას“ ახალ ტიპის გმირს არ ეღობება გზაზედ ძველი თაობა და რუტინა. თითქოს ახალის კვალის შეტანა ცხოვრებაში მხოლოდ კაბინეთურ მსჯელობის ბუნებრივი, მცონარე ნაყოფი იყოსო, „ჩვენის ცხოვრების ცისარტყელა“, ბ-ნ ცაგარელის აზრით, მშვიდად და წყნარად ასხვაფერებს ქართულს სინამდვილეს. არც ნიკოს, არც მალხაზს, არც ელიკოს თითქმის არავინ წინააღმდეგობას არ უწევს, თითქმის ყველა იმათი თანამოაზრეა და ერთად ერთი უბედურება, რომელიც ახალის თაობისა და აზრების წარმომადგენელებს ეწვევათ, მალხაზის უკანონო მშობლებისაგან გაჩენაა. ძალიან შემცდარია ბ-ნი ცაგარელი, რადგან ახალის აზრების განხორციელება „კანონიერ“ შვილებისათვისაც ძნელია... ჩვენ ვიცით, რომ ბ ნი ცაგარელი მოახერხებდა ძველისა და ახალის თაობის ბრძოლა თავისის ნიჭის შესაფერს კომედიაში გადაეშალა მკითხველისათვის და სწორედ იმიტომ გვაკლია გულს, რომ ასე ზედაპირულად უყურებს იგი ცხოვრებას. ეს არის უმთავრესი და უძლიერესი ნაკლულევანება კომედიისა და ამით აიხსნება მისი წყალწყალობაც. მხოლოდ ამით აიხსნება, რომ კომედიის ნახევარზედ მეტი ბ-ნ ცაგარელს ვითომდა ფილოსოფიითა და მეცნიერებით გაუვსია. უამისოდ გაუგებარია, რისთვის ალაპარაკებს ბ-ნი ცაგარელი ნიკოს, მალხაზს, დიმიტრის, სვირიდონს და სხვებს ისეთს საგნებზედ, როგორიც მეურნეობაა ჩვენში და გერმანიაში, სწავლა და უსწავლელობა, შრომა და ფუქსავატობა, სტუდენტები და იმათი გაჭირვება, კლასიციზმი თუ რეალიზმი, მეურნეობა თუ მკურნალობა. სამკურნალო ფაკულტეტი და მისი მეორე კურსი, სათავად-აზნაურო და საგლეხო ბანკი და მრავალი სხვა...

მართალია ახალის მიმართულების დრამები ხშირად ფილოსოფიის და მეცნიერების ძირითადს კითხვებს ჰხდის თავისს სიუჟეტად, როგორც, მაგალითად, ბიერნსტონის „Ueber unsere Kraff“-ი, მაგრამ ამ გვარ დრამისათვის სხვა მომზადება და სხვა ნიჭია საჭირო, და, მგონია, თითონ ბ ნი ცაგარელიც არა სცდილობდა იმ სახის დრამის დაწერას.

—

ბ ნის ცაგარელის ახალს კომედიაში მხოლოდ ორი ცოცხალი არსებაა დახატული: მოქეიფე დათიკო და მეჭორე დარია. სადაც ან დათიკო, ან დარია ჰმოქმედებენ, იქ „ცისარტყელას“ ბ-ნ ცაგარლის ნიჭის შესაფერს სცენებს იძლევა, მაგრამ იმათ კომედიაში სულ უკანასკნელი ადგილი უჭირავთ. მართალს მხატვრულს ნიჭს იჩენს ბ-ნი ცაგარელი იმ სცენაში, რომლითაც გვისურათებს ჩვენებურ არისტოკრატების ზნეს; ჭეშმარიტის კომიზმით არის სავსე საქორწილოდ შეკრებილ სტუმრების საუბრის სცენა; აქ ყოველი სიტყვა მარგალიტია, ყოველი სიტყვა მარჯვედ ჰხვდება იმ წყლულთ, რომლებითაც ასე მდიდარია ეგრედ წოდებული მაღალი წრე. უხერხულად მიგვაჩნია მხოლოდ სანეფოდ გამოპრანჭულ მალხაზის რეზონიორობა და ქადაგება. ბ-ნ ცაგარლის ნიჭი საუცხოვო ფხას იჩენს ჩვენის საზოგადოების სხვა-და-სხვა წრის ზნე-ჩვეულების დასურათებისა და ზედაპირულად იმის სასაცილოდ აგდების დროს, ამიტომ ბ-ნ ცაგარელმა თავისი მწერლობის ასპარეზი ან პატარა სცენებით უნდა შემოფარგლოს, ან უფრო ღრმად ჩაუკვირდეს ცხოვრებას და მხოლოდ ისე მოჰკიდოს ხელი აზიანის კომედიების თხზვას.

ზანგი

ლისის ქართულს თეატრსა და ტფილისის ქართულს თეატრში მოსიარულე ხალხს?..

სწორედ სირცხვილია ბ-ნ მესხიშვილისათვის, რომ უბრალო ჭორებსა და მითქმა-მოთქმას აჰყოლია და ან „ბზიკის“ „ოხუჯობის“ გამო ასე ადვილად ატრიალებს ხელში მისდა მიმართს ხალხის პატივისცემასა და საზოგადოდ სცენის დიადს საქმეს. მე მგონია, რომ იმისი უცნაური გაბუტვა არტისტის ჩვილ და ადვილად-ამატკიებელ თავმოყვარეობას უნდა მიეწეროს, თორემ რა საფიქრებელია, რომ აქაოდა „ზოგიერთს“ ჩემის „ბენეფისის მოახლოვება ტფილისში ძვალად აქვთ ყელში გაჩრილი“, ტფილისში აღარ ჩავალო. სჩანს, „ზოგიერთებისთვის“ ჩამოსულა ტფილისში და არა ყველა იმათთვის, რომელნიც ქართულს თეატრში დადიან, იმისს, ბ-ნ მესხიშვილის, თაყვანის მცემელნი არიან და მისს ნიჭს ღირსეულად აფასებენ?!.

გვიკვირს, რომ ასე ადვილად აჰყოლია ბ-ნი მესხიშვილი „ზოგიერთის“ (თუნდა იყვნენ კიდეც ასეთი „ზოგიერთები“) გულის-თქმას. ეხლა სხვა „ზოგიერთმა“ რომ სთხოვონ ჩამოსვლა და, „ბზიკის“ საპირდაპიროდ, მე რომ დავწერო, დიდად სასურველია ბ-ნ მესხიშვილის ტფილისის სცენაზედ ხშირად ყოფნა და ჯილდოც ამ შრომისათვის მომეტებული არ ეძლევა-მეთქი, რაც, რასაკვირველია, უფრო სამართლიანი იქნება, მაშინ რას იტყვის ბ-ნი მესხიშვილი? რომელს „ზოგიერთს“ დაუჯერებს, იმ „ზოგიერთს“, თუ ამ „ზოგიერთს“? მაგრამ ეს სულ ისევ ჭორებისა და მითქმა-მოთქმის ნაყოფია? აქაც, როგორც ყოველ ზემოდ აღნიშნულს ამბავშია, „მე“ დაბრძანდება „ჩვენ“-ის ნიღაბით და პირადი სარგებლობა და გულის-თქმა — საზოგადოების საქმის გულ-შემატკივრობის სახელით და ამიტომ ბ-ნი მესხიშვილი არასოდეს არ უნდა აჰყვეს „ზოგიერთის“ მითქმა-მოთქმის და არ წასწიხლოს უმრავლესობის სურვილი და საქმის სარგებლობა. თუ ბენეფისია მისი მოახლოვებული, უნდა გაიმართოს კიდეც, ჩამოვიდეს და თავისი მოვალეობა, როგორც ქართულის სცენის მსახიობისა, პირნათლად შეასრულოს. თუ „ზოგიერთს“ არ ესიამოვნება, ეს „ზოგიერთი“ ამ წარმოდგენას, რასაკვირველია, არ დაესწრება, და ამითი ხომ არც არაფერი დაშავდება.

აქაც, როგორც ჰხედავთ, ბ ნმა მესხიშვილმა „ზოგიერთის“ საქციელი „ყველას“ ჩაუთვალა ბრალად, ისევე, როგორც „ცნ. ფურ.“-ის რეცენზენტმა უალაგოდ უსაყვედურა „ქართველს საზოგადოებას“!.

* *

სამართალშივე მივცემდი ჯერ ბ ნს ი. ევდოშვილს, ამ ქართველ „დეკადენტთა“ და ნისლ-ბურუსიან მწერალთა საუკეთესო და სამაგალითო წარმომადგენელს, და მერე „ნახატებიანს“ „კვალს“ — პირველს „ინტელიგენტი ცხვირი“-ს დაწერისა და მეორეს — მისს მე-2 №-ში დაბეჭდვისათვის. ბევრი ვეძებე ამ „ცხვირში“ აზრის, ან ენა მახვილობის ნასახი, მაგრამ, ცოდვა გამჟღავნებული სჯობია, ვერა ვიპოვნე-რა. შეიძლება მიკითხოთ, რომ ბ-ნ ევდოშვილის „ცხვირში“-კი არა, თავში უნდა გეძებნა აზრი, რადგან აზრთა სამშობლო თავია და არა ცხვირიო, და იქნება მართალიც იყოთ, მაგრამ, ვიკითხავ, მაშ რაღა საჭირო იყო ამ ცხვირის ასე გრძლად წამოჩხირვა გაზეთის ფურცელზედ, თუ ყოვლად უკუნურია და უაზრო.

ბ-ნს ევდოშვილს ვითომ-და განუზრახავს სატირის დაწერა იმ ინტელიგენტთა სასაცილოდ ასაღებად, რომელთაც ჰგონიათ, რომ ქვეყანა და ქვეყნის საქმე ჩვენით იწყება, ჩვენით განეგრძობა და ჩვენით თავდებაო, მაგრამ მხოლოდ „განუზრახავს“. იმისი „ინტელიგენტი ცხვირი“ ერთი რაღაც უშნო და ულაზათო ოცრო-ბოდოა, ყოველსავე აზრისა და სატირიულს მშვენიერებას მოკლებული. ასეთს, უკაცრავად ამ სიტყვისათვის, „სატირიულს ნაწარმოებს“ მხოლოდ „კვალი“ თუ გამოუჩნდება ვაჭრად, თუმცა არა გვგონია, რომ მკითხველებმა მადლობა უძღვნან ჩვენს „ნახატებიანს გაზეთს“.

• •

სამართალში მივცემდი დღესვე... მაგრამ დღეს... დღეს ჩვენი ეკკლესია და ერი ნეტარ ხსენებულ მოციქულთა სწორის, ქართველთ განმანათლებელის წმ. ნინოს სახელს იხსენიებს მოწიწებითა და პატივისცემით და ის ჩვენი ტურფა და კეკლუცი ნინოები გავიხსენოთ, რომელთა სახელწოდების დღეც არის. „ნინო“! რამდენი დიდებული აზრი და გრძნობაა ქართველის მეხსიერებაში ამ სახელთან ჩაქსოვილი! ვისურვოთ, რომ ჩვენმა ნინოებმა — საქართველოს განათლებას ვინ დააკისრებდა! — თავისის პაწია შვილების მოვლა, გაზრდა და განათლება შესძლონ პირ-ნათლად და თავისის ერისა და სამშობლოს კეთილდღეობის შესაფერისად... ვისურვოთ, რომ გულითა და სულით აღივსნენ ნეტარხსენებულ ნინოსებურის დიად გრძნობებით და არა მარტო სახელით „ნინოობდნენ“ და საქმით-კი ცუდის იმედის მომცემნი „ნადელდანი“ იყვნენ!..

ჩიორა

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

კარგა ხანია მკურნალობა ჭლექს ებრძვის, მაგრამ დღემდე ისეთი წამალი ვერ გამოიგონა, რომ მართლა მალამოდ ედებოდეს ამ სენს. ბევრმა მკურნალმა განაცხადა ამ ბოლოს დროს საჯაროდ ვითომდა ჭლექის წინააღმდეგ ახალის საშუალების გამოგონების ამბავი, მაგრამ არც ერთი ამ საშუალებათაგანი არ გამოდგა. თვე არ გავა ისე, რომ სამკურნალო მწერლობაში ამბავი არ იყოს დაბეჭდილი ჭლექის მომრჩენ ახალ საშუალების შესახებ. სხვათა შორის სულ ბოლოს ორმა პარიჟელმა მკურნალმა—პროფესორებმა რიშემა და გერიკურმა ასეთ საშუალებად უმი ხორცი სცნეს. ეს პროფესორები მრავალგვარ ცდისა და გამოკვლევის შემდეგ იმ აზრს დაადგნენ, რომ უმი ხორცი საუკეთესო წამალია ტუბერკულეზის მოსარჩენად. მაგრამ უმის ხორცით კვება ავადმყოფისა მხოლოდ მკურნალის ზედამხედველობით შეიძლება განსაკუთრებულ სანატორიებში, სადაც შესაფერი მოწყობილებებია. ამ აზრით, დასახელებულმა პროფესორებმა დააარსეს ოჟიკურში (საფრანგეთშია) სანატორია. დაარსებულ იქმნა სანატორია წარსულის წლის მაისში, მაგრამ ამისდა მიუხედავად უკვე რამდენიმე ავადმყოფი განიკურნა და გამოეწერა. გაზეთების სიტყვით, თითქმის ყველა ავადმყოფს, ამ სანატორიაში დაწოლილს, უკეთესობა ეტყობა. ჰკვებავენ ავადმყოფებს უმთავრესად უმი ხორცით დღეში 3—4-ჯერ. ხორცს გარდა აძლევენ: ყავას, პურს, კვერცხს, რძეს, კართოფილს, მწვანილს და ლუდს. საჭმელი ამ რიგადაა განაწილებული.

დილით:

7 საათზედ—ყავა, პური და კვერცხები.
9 საათზედ—300 გრამმა უმი ხორცი.
11 საათზედ—რძე, კვერცხები.
12 საათზედ—სადილი: წვენი, კართოფილი, მწვანილი, ხორცი და ლუდი.

ნაშუადღევს:

2 საათზედ—300 გრამმა უმი ხორცი.
3 საათზედ—რძე, კვერცხები.
4 საათზედ—300 გრამმა უმი ხორცი.
6 საათზედ—ერბო-კვერცხი.
8 საათზედ—ცხელი რძე.

ამას გარდა რამდენჯერმე დღეში ავადმყოფს ხორცის წვენს (ცვარს) აძლევენ.

სხვა მკურნალები სხვა საშუალებას ასახელებენ ჭლექის წინააღმდეგ. იტალიელი მკურნალი კავაცანი, მაგალითად, ჭლექის საუკეთესო წამლად ნიორსა სცნობს. საავადმყოფოში კავაცანი ბევრ ჭლექიანს აჭმევს თურმე ნიორს, დღეში 4-დგან 6 გრამამდე.

◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 იანვარი

პეტერბურგი. 12 იანვარს ხელმწიფე მემკვიდრე დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე პეტერბურგში დაბრუნდა.

მოსკოვი. დღეს, ნაშუადღევის მეხუთე საათზედ, მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ მოსკოვზედ გაიარეს. რკინის გზის ლოპასნის სადგურზედ მათს იმპერატორებით უდიდებულესობათ მიეგებნენ: დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ და დიდი ჰერცოგი გესსენისა მეუღლითურთ. მოსკოვში საიმპერატორო ფარდულთან მათს უდიდებულესობას სატახტო ქალაქის უმაღლესნი მოხელენი მიეგებნენ. მათ უდიდებულესობასთან ერთად წარვიდნენ დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ და დიდი ჰერცოგი გესსენისა მეუღლითურთ.

მოსკოვი. მოსკოვის უნივერსიტეტმა დღეს წლის თავი იდღესასწაულა. სადღესასწაულო პარაკლისის შემდეგ, რომელიც ეპისკოპოსმა პართენმა გადიხადა, სხდომა დაიწყო; სხდომას საპატიო კაცნი და უნივერსიტეტის პროფესორნი დაესწრნენ. აქტი საერო საგალობელით იქმნა დასრულებული.

13 იანვარი

პეკინი. შანხაიგუანის რკინის გზის გადაცემა რუსებისა და ნემეცებისადმი თითქმის რომ გათავებულია. ვალდერზეე ჩინეთიდგან წამოსვლას აპრილის პირველ რიცხვებში აპირებს. ნემეცები ამბობენ, რომ განზრახვა აქვთ სამხედრო მოქმედებათათვის რკინის გზა დროებით ჯერ ისევ ხელთ ეპყროთ; ინგლისელები ამისი წინააღმდეგნი არიან; ამისათვის აღნიშნულს საგანს გარდასაწყვეტად ორსავე მთავრობას წარუდგენენ.

სოფია. ახალი კაბინეთი შესდგა: პირველი მინისტრი პეტროვია, რომელმაც ამასთანავე ერთად შინაგან საქმეთა სამინისტროს პორტფელი დროებით გარეშე საქმეთა სამინისტროს მმართვა-გამგეობა ჩაიბარა, ფინანსთა მინისტრი ტონჩევია; დანარჩენი მინისტრები თავისსავე ალაგზედ დარჩნენ, სასჯულო საქმეთა მინისტრი დანჩევიც დროებით ვაჭრობის სამინისტროს გამგეობასა კისრულობს.

შანხაი. სადიპლომატო კორპუსმა დაადგინა ერთხმად მიჰმართოს ცინსა და ლიხუნგჩანგს წერილით, რომ სამხედრო საგნების შესახებ სახელმწიფოთა მიერ მიღებული საშუალებანი დამოკიდებულ არიან იმისაგან, თუ ჩინეთის მთავრობა დანარჩენს ვალდებულებას რამდენად მალე შეასრულებს. ჩინეთის ოთხის უმაღლეს მოხელისათვის, რომელთა შორისაც ჩეუნსა და ინიუენის სახელიც არის ნაჩვენები სადიპლომატო კორპუსი სიკვდილით დასჯას თხოულობს; გარდა ამისა, დამატებითი სიკვდილით დასჯა მოუთხოვნიათ უკვე გარდაცვალებულის კანიისა და აგრეთვე ტუნფუსიანისათვის იმ პირობით, რომ სასჯელი გენერლის შებყრობამდე გადსდებულ იქმნეს.

სოფია. „ბოლგარიის სააგენტოს“ სიტყვით, მინისტრთა სია შეუცვლიათ: ტონჩევის მაგივრად ფინანსთა სამინისტროს მთავარი მდივანი ბონჩევი დაუნიშნიათ.

კოუსი. დილით განსვენებულის დედოფლის კუბოზედ ღვთის მსახურება იქმნა შესრულებული, რომელსაც სამეფო გვარეულობის ყველა წევრნი დაესწრნენ; კუბო შემდეგ ოსბორნ-გაუზის კაპელლაში გადაასვენეს.

ლონდონი. ვაჭრობის მინისტრი ჯერალდ ბალფური მძიმედ ავად გახდა.

ლონდონი. ახლა საბოლოოდ გარდაწყდა, რომ პარასკევს ღამე, 19 იანვარს, დედოფლის გვამი იახტა „ალბერტზედ“ იქმნება დატოვებული პორტსმუტში, საიდგანაც მეორე დღეს ლონდონში მიასვენებენ და შემდეგ აქედგან ვინდზორს; ცხედარს ამავე დღეს დაჰკრძალავენ; ფროგრამში ხალხის თაყვანსაცემლად კუბოს არ გახსნიან.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. ბალფურმა მეფის ეპისტოლე წარადგინა, რომელშიაც გამოთქმულია რწმენა, რომ ქვეყანა მისს მწუხარებას გულწრფელად იზიარებს და განსვენებულს დედოფალს მადლობით იხსენიებს. ბალფურმა წინადადება წარადგინა, რომ თანაგრძნობა განუცხადონ და დედოფალს მხურვალე შესანდობარი სიტყვა უთხრა; თავისს სიტყვაში იგი ულოცავს აგრეთვე ახალს მეფეს, რომელიც მოვალეობას დაემორჩილა და მძიმე პასუხის მგებლობა იკისრა. ბალფურმა შემდეგ წარადგინა შინაარსი ადრესისა, რომელშიაც პალატა მეფეს თავისს ღრმა მწუხარებასა და თანაგრძნობას უცხადებს, ულოცავს ტახტზედ ასვლასა და გამოსთქვამს რწმენას, რომ მეფე ქვეყნის კანონებს დაიცავს და თავისს ქვეშევრდომთა კეთილდღეობისა და თავისუფლებისათვის იზრუნებს. ადრესი მიღებულ იქმნა; 1-ლ თებერვლამდე პალატა დაიშალა. ლორდთა პალატაშიაც ასეთივე ადრესი იქმნა მიღებული, რომელიც ლორდმა სალისბურგიმ წარადგინა.

ლონდონი. კიტჩენერი იუწყება პრეტორიიდან: „ოლიფანტენსკიდგან სამხრეთისაკენ მიმავლობის დროს გენერალმა კუნნისგამმა გზაზედ 17 კაცი ტყვეთ წაიყვანა. მიდლფონტეინიდგან კუნნიგანს დღეს ბრძოლა აუტეხეს. ჩარლზ ნოქსი გაზებროკის ბანაკს თავს დაესხმ, ერთი ფელდკორნეტი და 4 ბურები ტყვეთ წაიყვანა და 20 ცხენიც წაართვა. მეტუენის ჯარმა ბურები გრიკუალანდიდგანა და კურუმნიდგან განდევნა და დღეს კაიპს ახალშენის დასავლეთ მხარისაკენ წავიდა. ჩვენი ჯარები კიანივლლიამით ჩრდილოეთისაკენ მიდიან; მიდდანას ლიანდაგის ბურების რაზმი უნიონდალის დასავლეთ მხარეზეა, რომელსაც პოლკოვნიკის გაივას ჯარი კვალდაკვალ მისდევს აღმოსავლეთით მშვიდობიანობაა. ბურები ახალშენს მცირე ზარალს აძლევენ და დღითი დღე მცხოვრებთაშორის რომელნიც არ უერთდებიან გავლენასა ჰკარგავენ“

ბერლინი. ვალდერზეე იუწყება პეკინიდგან, რომ ვუნგენგეიმის ჯარი შანხაიში დაუბრკოლებლივ დაბრუნებულიან.

შანხაიგუან-პეკინის რკინის გზა გუშინდლიდგან რუსებს გადასცეს.

◆

შემოწირულება.

მცხეთის ტაძრის განსაახლებლად რედაქციამ მიიღო 12 მან. 75 კაპ., რომელიც ქ. სიღნაღში თავ. ნიკოლოოზ შერმაზანის ძეს აფხაზს შეუკრებია. აი სია შემომწირველთა: თ. ნიკოლოოზ შერმაზანის ძე აფხაზმა 4 მან., ალექსი გულიაშვილმა 20 კ., ზაქარია კაციაშვილმა 5 კ., ანდრია ზელანაშვილმა 10 კ., ნატო გულხადარაშვილმა 10 კ., ისაკო ზვერიაშვილმა 5 კ., მალაქი გზირიშვილმა 10 კ., სვიმონა გულიაშვილმა 10 კ., იასონ გულიაშვილმა 10 კ., ნასყიდა ბეროზაშვილმა 20 კ., საბა გელუკაშვილმა 30 კ., წყალობა აურიაშვილმა 10 კაპეიკი, დათა ბეროზაშვილმა 10 კ., ლევანა ზურიაშვილმა 5 კ., მიხეილ პატროქლიშვილმა 5 კ., კიკო ბეროზაშვილმა 20 კ., ლიმონა ხალილაშვილმა 10 კ., ლევან პატროქლიშვილმა 50 კ., ივანე ტაბაზმელიშვილმა 20 კ., ვანო ასატუროვმა 20 კ., ვასილ ლომიძემ 40 კ., თეიმურაზ თანდაშელმა 10 კ., მიხეილ მირაქოვმა 5 კ., გიორგი ღირსიაშვილმა 15 კ., შაქრო ბაბალაშვილმა 5 კ., მიხაკო შინჯიაშვილმა 25 კ., ნიკოლა მჭედლიშვილმა 10 კ., ალექსი მირიანაშვილმა 5 კ., იორამ მჭედლიშვილმა 10 კ., გრიგორი მირიანაშვილმა 10 კ., თომა ტერტეროვმა 20 კ., ისაკო გზირიშვილმა 20 კ., ვასილ ნარინდოშვილმა 10 კ., სერგო ყარალაშვილმა 10 კ, კოზმა კვირიკაშვილმა 5 კ., ვასილი მჭედლოვმა 5 კ., ვანო ვასოს ძე ტურიაშვილმა 5 კ., ვასო პატარქლიშვილმა 10 კ., ნიკო ტურიაშვილმა 20 კ., კოტე ძიძიშვილმა 25 კ., მიხაკო გველუკაშვილმა 5 კ., სანდრო ტყავაშვილმა 40 კ., სერგეი აფრიზოვმა 50 კ., ავაქა ტერ-სტეფანოვმა 40 კ., გეურქ ისაიევმა 50 კ., №№ 20 კ., ვ. ავაქოვმა 20 კ., ლიმონ ივანის ძე ნონზაკმა 10 კ., ალექსი ჩატურიძემ 20 კ., ნიკოლოოზ კონსტანტინეს ძე აფხაზმა 30 კ., ილია კოსტანტინეს ძე აფხაზმა 70 კ., კოსტანტინე ნიკოლოზის ძემ 60 კ.

◆

წერილი რედაქციის მიმართ.

—

დიდს მადლობას ვუძღვნი აზნ. ტარიელ ჯორჯიკიას, რომელმაც ჩემდემო რწმუნებულს ახლად აშენებულს ქვემო ბიის მაცხოვრის ეკკლესიას ათ მანეთად ღირებული მაცხოვრის ხატი.

ქვემო ბიის მღვდელი ნესტორ სასანია

◆

სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები:

16 იანვარს:

ტაკვია ცვიებაიასი, რომელსაც კაცის მოკვლა ჰბრალდება.

დიმიტრი გვახარიასი, რომელსაც აკცის მოკვლა ჰბრალდება.

ლუკა მაისურაძისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-1480 მუხ. აღნიშნული დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

სტეფანე ნიკოლაიშვილისა, რომელსაც სიყალბის ჩადენა ჰბრალდება.

20 იანვარს:

ალექსი გულიტაშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლა ჰბრალდება.

მიხეილ აბაზაძისა, გიორგი თათულაშვილისა, ლაზარე ჩლაჩეიშვილისა და ივანე დათუნაიშვილისა, რომელთაც ქურდობა ჰბრალდებათ.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ამა 1901 წელს, 25 იანვარს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით მოხდება

საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით იქმნება გაცემული დუქნები და სარდაფები ქალაქის სახლში (შიოევისეული) გოლოვინის პროსპექტზედ.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გასინჯონ გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 9-დგან 3 საათამდე.

2 (3—6.—1)

„წიგნების გამომცემელ ქუთათურ ამხანაგობის“ გამგეობა ამით აცხადებს

პრემიას

სალიტერატურო ნაწარმოებთა დასაჯილდოვებლად. პირობები შემდეგნია: 1) საპრემიოთ წარმოდგენილ ორიგინალურ თხზულებაზედ დანიშნულია ღირსების კვალობაზედ: 150 მან., 100 მან. და 50 მან.; 2) პრემია შეიძლება მიეცეს ევროპის რომელიმე კლასსიკის თხზულების თარგმანსაც, ხოლო თუ იგი გადმოღებულია პირდაპირ უცხო ენიდგან აქაც სამნაირი ჯილდოა: 70 მან., 50 მან. და 20 მან. ორივე შემთხვევაში (§§ I, II) უფრო სასურველია არა ვრცელი თხზულება.

შენიშვნა. თარგმანები არა პირდაპირ უცხო ენიდგან ან რუსის მწერალთა ნაწარმოებთა შეიძლება მხოლოდ პრემიის მიუცემლად დაჰბეჭდოს ამხანაგობამ თავის ხარჯით.

3) ყოველგვარი სალიტ. ნაწარმოები უნდა გამოეგზავნოს ამხანაგობას (ადრესი: Г. Кутаисъ, Кутаисск. книго-издат. Товарищ.) რაიმე დევიზის ზედ-წარწერით და დაბეჭდილი კონვერტით, სადაც აღნიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი. კანვერტი გაიხსნება მხოლოდ მაშინ, როცა წარმოგზავნილი ნაწარმოები ცნობილ იქმნება ჯილდოს ღირსად, 4) ვადა თხზულების გამოგზავნისა არის არა უგვიანეს 1 მარტისა 1902 წ.; 5) დაჯილდოვებულ თხზულების ავტორს პრემიის გარდა შეიძლება მიეცეს კიდევ გონორარი; 6) შედეგები კონკურსისა და აგრეთვე რეცენზია დაჯილდოვებულ თხზულებაზედ გამოცხადდება გაზეთებში; 7) ყოველი საპრემიოთ გამოგზავნილი ნაწარმოები კარგის ქართულის სალიტერატურო ენით უნდა იქმნეს დაწერილი; 8) პრემიები მიეცემა ავტორებს იმ ფულიდგან, რომელიც შემოუვა ამხანაგობას დაჯილდოვებულ წიგნის გასყიდვისაგან.

(10—6—8)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.

ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გმოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქილა—2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთექო მაღაზიაში.

ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—211—29)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 го Января 1901 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე